ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 25-1

ქ. თბილისი 27 მარტი 2014 წელი

სსიპ „თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი“ შემდგომში წოდებული **„შემსყიდველად“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის **კონსტანტინე კასრაძის** სახით, და **ფ/პ კონსტანტინე ჩავლეიშვილი, პ/ნ 01023009540** შემდგომში წოდებული **„მიმწოდებლად“**, ორივე ერთად წოდებული როგორც **„მხარეები“**, ვმოქმედებთ, რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები:

ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის;

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი:

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ ააიპ კლაუს ჰიპის სახელობის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდთან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონცერტის მონაწილე მოწვეული დირიჟორის გადაადგილების უზრუნველყოფა, გადაადგილებასთან დაკავშირებული მომსახურებების შეძენა:

28 მარტი თბილისი - ერევანი;

29 მარტი ერევანი - თბილისი;

2 აპრილი სასტუმრო ცენტრალი - თბილისის აეროპორტი.

დირიჟორის თბილისში ყოფნისას მისი გადაადგილების უზრუნველყოფა.

2.2. შესყიდვის ობიექტი: გადაადგილებასთან დაკავშირებული მომსახურებები.

კლასიფიკატორის კოდი 98392000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 334 (სამას ოცდათოთხმეტი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადებს.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მომსახურება გაუწიოს შემსყიდველს მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების საერთო ღირებულების ფარგლებში.

ბ) მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს უნაკლო და ხარისხიანი მომსახურება;

გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

დ) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დაწყება 2014 წლის 28 მარტიდან.

ე) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დასრულება 2014 წლის 2 აპრილამდე.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

5. ხარისხი

5.1. გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას;

5.2. მიმწოდებელი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი მთელი მომსახურების პერიოდში და თუ ამ პერიოდში აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს ხარვეზი.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც გაწეული მომსახურების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად.

6.2. ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ „თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრის" ორკესტრის მსახიობი დავით ტაბატაძე.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელი შეუწყოს შემსყიდველის ინსპექტირების განხორციელებას;

ბ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა დაუყოვნებლივ.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7.2. მომსახურების მიღება-ჩაბარებას აწარმოებს: შემსყიდველის მხრიდან სსიპ „თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრის" დირექტორი კონსტანტინე კასრაძე და ორკესტრის მსახიობი დავით ტაბატაძე, მიმწოდებლის მხრიდან ფ/პ კონსტანტინე ჩავლეიშვილი.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება გაწეული მომსახურების შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების გადაცილების ან/და 6.3. პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე არგაწეული მომსახურების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით. მომსახურება, ან მისი ნაწილი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 8.2. პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიმწოდებლის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი თანხის ანაზღაურება.

10.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით.

13.2. შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

13.3. ხელშეკრულებების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2014 წლის 28 მარტიდან და მოქმედებს 2014 წლის 1 მაისამდე.

15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებისა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ

წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ „თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი“;	ფ/პ კონსტანტინე ჩავლეიშვილი
იურ. მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N76ბ;	მისამართი: თბილისი, თემქის დასახლება 11 მ/რ 3-კვ. კორპ. 45, ბ. 22.
ფაქტ. მის: ქ. თბილისი, სანაპიროს 4, შენობა 2, სართული 8.	
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
სს „ბანკი რესპუბლიკა“ ც/ფ;	სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: REPLGE22;	ბანკის კოდი: REPLGE22;
ანგარიშის N: GE42BR0000010055746484;	ანგარიშის №: GE54 BR00 0001 0134 5587 68
საიდენტიფიკაციო N: 205296259;	პ/ნ 01023009540;
დირექტორი: კონსტანტინე კასრაძე	ფ/პ კონსტანტინე ჩავლეიშვილი
ხელმოწერა/ბეჭედი:	ხელმოწერა:
/კ. კასრაძე/	/კ. ჩავლეიშვილი/